



**გნაანა**  
საეკოლოგიური

მისამართი: თბილისი, ყიფშიძის 5ა, IV საღარბ. VII სართ.  
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №62, თბილისი, 0162  
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74  
ფაქსი: (+995 32) 22 38 74  
ელ-ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

№ 04 / 03 - 172

“7” დეკემბერი, 2009

ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მოთხოვნის თაობაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების მინისტრს  
ბატონ გოგა ხაჩიძეს

ასლი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს  
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს  
ბატონ ნიკოლოზ ჭახნაკიას

ბატონო გოგა,

გთხოვთ, ჩაგვართოთ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელებისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების პროცესში ჩართვის ჩვენი უკანასკნელი წარუმატებელი მცდელობის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ ჩვენმა მოთხოვნამ დროულად მიაღწიოს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში და არა ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ, წერილის ასლს ვუგზავნით ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს.

ასევე, ადმინისტრაციული წარმოების ვადების სიმჭიდროვის და კვლავ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, გთხოვთ, ნებართვის მაძიებელის მიერ სამინისტროში დოკუმენტაციის წარდგენისთანავე შეტყობინება ელექტრონული ფოსტის ([greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org); [ngujaraidze@greenalt.org](mailto:ngujaraidze@greenalt.org)) და/ან ტელეფონის (221 604; 223 874) მეშვეობითაც მოგვანოდოთ, რათა ჩვენ თავად უზრუნველყოთ სამინისტროდან დოკუმენტაციის გონივრულ ვადებში წამოღება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.  
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე  
აღმასრულებელი დირექტორი